




# საშურის მოახბა



№2(376) 23 იანვარი, ორშაბათი, 2023 წელი

## საშურის მუნიციპალიტეტი საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის ორგზის გამარჯვებულია

თბილისში, სასტუმრო „ბილტმორში“ ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ინიცირებით საუკეთესო პრაქტიკის ეროვნული კონფერენცია ჩატარდა, სადაც საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული მუნიციპალიტეტები დაჯილდოვდნენ. საშურის მუნიციპალიტეტი საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის ორგზის გამარჯვებული გახდა: პროექტმა „სამოქალაქო ბიუჯეტებზე საშურის მუნიციპალიტეტში“ გამარჯვება მოიპოვა ნომინაციაში „მოქალაქეთა მონაწილეობა, ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება“ ხოლო პროექტმა „P-HACCP(ჰასპი)-საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების განსაზღვრა“ გაიმარჯვა ნომინაციაში „სკოლამდელი აღზრდა, სკოლისგარეშე განათლება და ზრდასრულთა განათლების მუნიციპალური პროგრამები.“ საშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძემ კონფერენციის მონაწილეებს გაუზიარა საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში გამარჯვებული პროექტების მიმდინარეობის ძირითადი აქცენტები, ხაზი გაუსვა პროექტების მიმდინარეობისას მერიის, საკრებულოს, მოქალაქეების, განსაკუთრებით ახალგაზრდების მალა ჩართულობას და მადლობა გადაუხადა კონკურსის ექსპერტთა საბჭოს ობიექტური გადაწყვეტილებისთვის. კონფერენციას ესწრებოდნენ გამარჯვებული პროექტების ავტორები: საშურის მუნიციპალიტეტის



საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი ლელა მაჭარაშვილი, ა(ა) იპ საშურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი ლელა გელაშვილი და მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი ნინო სუხიაშვილი.



## სოფლის მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამა იწყება

საშურის მუნიციპალიტეტში 26 იანვრიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამა იწყება. პროგრამის განსახორციელებლად, საშურის მუნიციპალიტეტისთვის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის 2476 განკარგულების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ შესაბამისად 904 000 ლარია გამოყოფილი.

პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის 76 სოფელსა და დაბა სურამში მოსახლეობასთან შეხვედრები გაიმართება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მოქალაქეებს საშუალებას აძლევს თავად იმსჯელონ სოფლისთვის პრობლემური საკითხების მოგვარებაზე და თავადვე განსაზღვრონ პრიორიტეტები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის მიერ ხმათა უმრავლესობით მხარდაჭერილის პროექტები დაფინანსდება როგორც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ისე ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

## მოისმინეს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ანგარიში

დღეს, 17 იანვარს, სოციალურ საკითხთა კომისიამ, თათია ბროლიძის თავმჯდომარეობით, მოისმინა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

ხელმძღვანელმა ნინო სუხიაშვილმა, წარმოდგენილ პრეზენტაციაში, ისაუბრა განყოფილების მიერ გაწეულ მრავალმხრივ საქმიანობაზე, როგორცაა საზოგადოებასთან, მასმედიასთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, რაც ემსახურება თვითმმართველობის გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების ამაღლებას.

განყოფილება აქტიურად იყო ჩართული გენდერული ბიუჯეტირების, სოფლის პროგრამების დაგეგმვის, გენდერული საბჭოს ფარგლებში და სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განყოფილება უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის მიერ

გამოცხადებული საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში პროექტების წარდგენის პროცესში, რომელშიც მუნიციპალიტეტი ორგზის გამარჯვებული გახდა.

კომისიამ დადებითად შეაფასა განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობა და მადლობა გადაუხადა ნინო სუხიაშვილს აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.



# ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის თორმეტი თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 16 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 21 353.10 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით ირიცხებოდა 5 738.2 ათასი ლარი (აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი 5 077.7 ათასი ლარი, დელეგირებული 71.9 ათასი ლარი მთავრობის განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი 588.6 ათასი ლარი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 38 400.8 ათასი ლარით, რაც 17 047.7 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 39 426.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 101,60%. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა 101,92% (21 842. 4 ათასი ლარი), მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი 101.15%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი 84.82%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 95.07% , სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 89.24% არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 87.91%.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 111.07 %-ით (2 877.1 ათასი ლარი), მათ შორის: რენტა 131.12%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 70.49%ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 66.83 %-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან 104.76%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 122.08%-ით.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 22,19%-ს (8 752.4 ათას ლარს), „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 250,0 ათასი ლარი, მიღებულია – 250.0 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 5974.2 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (ნაბახტევში გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის , სოფელ ვაყის ხიდიდან ტკოცამდე გზის მოასფალტების (I და II ეტაპი) და სოფელ ცოცხნარამდე და ქემფერამდე გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის).

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №277 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 ივლისის №1275 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს

გამოეყო 135 523 ლარი ( სოფელ წაღვლში ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების დასაფინანსებლად).

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის №926 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 483,533 ლარი (სოფელ, ბულბულისციხეში გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის).

ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის 51 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 48 725 ლარი, ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად - 330 324 ლარი.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით -გადასახდელების საკასო შესრულებამ 33 458.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 87,12%-ს შეადგენს. ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით თორმეტი თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 89,56% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 12,91%), თავდაცვა - 91,10% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,45%), ეკონომიკური საქმიანობა - 64,26% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 33,99%), გარემოს დაცვა - 93,72% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 5,41%), საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 88,23% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 4,515%), ჯანმრთელობის დაცვა - 99,32% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,30%), დასვენება, კულტურა და რელიგია -78,66% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 10,57%), განათლება - 98,47% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 9,11%), სოციალური დაცვა - 90,61% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 3,55%), ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის კრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 98,02%-ით, საქონელი და მომსახურების ხარჯები - 90,04%-ით, სუბსიდიები - 97,36%-ით, გრანტები - 99,54%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 92,76%-ით, სხვა ხარჯები - 87,98%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 81,33%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 დეკემბრის №16 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30.0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან განხორციელდა თანხის გამოყოფა 9974,78 ლარის ოდენობით (02.03.2022 84.84220619 ბრძანება) უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დამეგობრებული უკრაინული ქალაქებისათვის ნოვოგრად-ვოლნისკისა და ოზუხოვისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით.

300 ლარის ოდენობით (20.04.2022 84.84221103 ბრძანება) უკრაინაში შექმნილი საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოსული კიევში მცხოვრები გალინა ზაზრუიკოსათვის დროებითი საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით.

300 ლარის ოდენობით (20.06.2022 84.842217114 ბრძანება) უკრაინაში შექმნილი საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოსული უკრაინაში მცხოვრები ვიქტორ იაკოვლევის და თამარა იაკოვლევის დროებითი საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით.

3000 ლარის ოდენობით (30.09.2022 84.84222736 ბრძანება) ქალაქ ხაშურში, იმერეთის ქუჩა 86-ში მცხოვრები გიორგი ბანცაძის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების მიზნით. სულ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 13 574,78 ლარი.

ლელა მაჭარაშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი



## 14 იანვარს ქართული დროშის დღე აღინიშნა

ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ სიმბოლიკაში დროშას განსაკუთრებული ადგილი უკავია. დროშა ესაა-ისტორია კონკრეტული ქვეყნისა და ღირსებისაც იმავდროულად. ქართული დროშა, რომელიც დავითიანის და თამარიანის სახელითაც მოიხსენება, საუკუნეების მანძილზე წინ უძღოდა ერს, მის ქვეშ დარაჯმული ლაშქარი სასწაულებს სწადიოდა და ორჯერ თუ სამჯერ მრავალრიცხოვან მტერს უმკლავდებოდა. ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა, სხვას რომ თავი დავანებოთ, ეროვნული იდენტობის მატარებელიცაა და ამიტომაცაა, რომ ამ ეროვნულ სიმბოლიკას უაღრესად დიდ პატივს მიაგებს თითოეული ქართველი. ამის დასტური კი 14 იანვარიცაა, როდესაც ქართული დროშის დღე აღინიშნება.

სურათზე : 14 იანვარს ასე იყო მორთული ქართული დროშებით ადმინისტრაციული შენობა და ქალაქის ცენტრალური მოედანი.

# მზია ლობჯანიძე: ერთად დავსხდეთ სხვადასხვა სოციუმები, სხვადასხვა ინსტიტუციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მუზეუმისთვის საჭირო როტო საკითხებზე ვიმსჯელოთ

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მკითხველს შევთავაზეთ საინტერესო სტატია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ ორგანიზებული „საფიხვნოს“ საქმიანობაზე, რომლის შესახებაც ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი გვიამბობდა. როგორც დაგვირდით, ამჯერად გაგიზიარებთ ინფორმაციას მუზეუმის სამომავლო გეგმების შესახებ.

საინტერესო იქნება გაგვიზიაროთ გამოცდილება მუზეუმის აქტივობების და სამომავლო გეგმების შესახებ?

ვფიქრობთ, დავაინტერესოთ, მაგალითად, პენსიონერები, რადგან მათი საკმაოდ დიდი რაოდენობა არის ჩვენს რეგიონში და ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ასევე. ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებისა, რაღაცით მუზეუმს მოვაბათ და მათი ინტერესების გათვალისწინებითაც რაღაცეები გავაკეთოთ. მათი ჩართულობით, საფიხვნოზე, შეკრება, ალბათ, ძალიან გონივრული იქნება. აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული ეს ადამიანური რესურსი. უდიდესი დადებითი მომენტი ამ ურთიერთობის ის იქნება, რომ მათ ცხოვრებაში ახალი მოტივაცია




გაუჩნდებათ... შეიძლება თავიდან დავიწყოთ, მაგალითად, მუზეუმელთა დედა მთილეს მოპატიჟებით, ან ბიბლიოთეკის თანამშრომელთა, ან თუნდაც იმ პენსიონერთა, ვინც კულტურის სფეროშია დასაქმებული და ასე შემდეგ. და მერე ეს ურთიერთობა უკვე ფეხს აიდგამს...

ჩვენ გვქონდა ძალიან კარგი გამოცდილება პენსიონერთა დღის ცენტრთან ურთიერთობის, რომელიც ჩვეთის საელჩოს თანადგომით არსებობდა ხაშურში და იქ მუზეუმელები მივიღოთ, ლექციებს ვუკითხავდით მოხუცებს, წიგნებს ვჩუქნიდით, გავუკეთეთ პატარა ბიბლიოთეკაც, რამდენჯერმე ჩვენთანაც დავპატიჟეთ მუზეუმში,

გვქონდა საინტერესო დისკუსიები და ასე შემდეგ... ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ 70 წელს გადაცილებულთა უმეტესობა გამოთავისუფლებულია სამუშაოდან, მათ აქვთ მეტი დრო და სურვილი სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობისა. ასეთი ადამიანები გვესწრებოდნენ პირველი „საფიხვნოს“ შეკრებაზე და ისინი, ვფიქრობ, მოიყოლებენ, ალბათ, სხვებსაც, სამომავლოდ...

ვგეგმავთ საფიხვნოებში ჩავართოთ დიასახლისები, იმიტომ, რომ ძალიან დიდი ნაწილი ქართველი ქალებისა და მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც დიასახლისია. კარგი იქნება, მათი ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები. აი, მაგალითად, დავხმაროთ მათ სამზარეულო რეცეპტების კრებულის გამოცემაში, ამ თვალსაზრისით მათი გამოცდილება გავაზიარებინოთ ერთმანეთთან და ჩვენ მივაშველოთ მაგალითები ქართული ეთნოგრაფიული ყოფიდან და საკითხები ქართველი მეცნიერი ეთნოგრაფების მიერ დიდი გულისხმიერებით შესწავლილი თემებიდან...

გვინდა მუზეუმთან დავაკავშიროთ ჯარისკაცები, ან, თუნდაც, პოლიციელები, მათთვის საინტერესო ლექციების კურსის შეთავაზებით, მაგალითად, ოსიაურის ან შინდარის, თუნდაც, ტაშისკრის ბრძოლასთან დაკავშირებით. ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ბრძოლები იყო, არა? თუმცა, ბევრმა მათგანმა ეს არ იცის... მსგავსმა შესვდრებმა შეიძლება სხვა საინტერესო დონის დიებებისკენაც გვიბიძგოს.



ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

და კიდევ იცით რა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როდესაც ჩვენ ვფიქრობთ მომავალ თაობებზე და როდესაც ძირითადი სამუზეუმო საგანმანათლებლო პროგრამები მიმართულია სწორედ მოსწავლე ახალგაზრდობაზე, სტუდენტებზე, რაღაცნაირად, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები გვრჩებიან მიღმა, ყურადღების გარეშე. მოდი მიაქციოს

მუზეუმმა ამ ხალხს ყურადღება, დაე, მუზეუმის გვერდით დადგნენ, დაე, მუზეუმში შევიკრიბოთ. უამრავი სათქმელი აქვთ დაგროვებული. თუნდაც ეს იყოს მარტო ის, რომ ადამიანებმა საკუთარ პრობლემებზე ილაპარაკონ, მაგრამ მუზეუმში ილაპარაკონ. ამის გვერდით ისინი ნახავენ აქ გამოფენას, წარიმართება საუბრები, ვთქვათ, რომელიღაც ექსპონატზე, საინტერესო ისტორიულ მოვლენაზე, კულტურულ ფასეულობებზე და ა. შ. მსგავსი ჩართულობის განხორციელება შეიძლება სხვადასხვა მეთოდებით და ეს იქნება, ალბათ, ძალიან გონივრული...

მუზეუმის პრობლემების შესახებაც ვისაუბროთ...

მუზეუმს პრობლემები უხვად აქვს. მაგრამ დავასახელებდი ერთს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანს: ფაქტობრივად, არარსებულ საგამოფენო სივრცეს. ერთი პატარა დარბაზი გვაქვს, რომელიც არის ძალიან ძველ გარემოში განთავსებული და აუცილებლად სარეაბილიტაციოა. ერთს გეტყვით: როდესაც მოდიან ბავშვების ჯგუფები, უნდა შევიყვანოთ ისინი სითბოში, ხომ ასეა, მაგრამ ჩვენ მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს გათბობის საშუალება, ვერ ვაცხელებთ დარბაზებში განთავსებულ გათბობის რადიატორებს იმიტომ, რომ ძალიან ახლოს არის ექსპონატებთან, და დააზიანებს. რასაკვირველია, დარღვეული გვაქვს ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმი. იძულებული ვართ, ბავშვები შევიყვანოთ გაყინულ დარბაზებში, ჩაცმულ-დახურულები, იმიტომაც, რომ ელემენტარულად, არ გვაქვს გარდერობი, რომ ბავშვებმა იქ დატოვონ თბილი ქურთუკები და ა. შ. ანუ, გვესაჭიროება ფართოდ გაშლილი დარბაზები, საინტერესო ექსპოზიციით და ამასთანავე, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი. ეს ჩვენი ახირება არაა, მათთან, ბავშვებთან გამოსაყენებლად გვიდა, ხომ? საერთაშორისო ფონდების (USAID „ზრდა საქართველო“) დაფინანსებით შევიძინეთ თანამედროვე პროექტორი, მომყოლი ტექნოლოგიებით, ვიყენებთ საინტერესო პროექტებში, გვინდა აუდიო გიდის ამუშავებაც, თუმცა, ეს უკვე მაშინ, როდესაც შესაბამის სივრცეში განვითარებთ ექსპონატებს. ჯერჯერობით, ექსკურსიამძღოლი უძღვება საექსკურსიო საქმიანობას ჩვენს პატარა დარბაზებში და არ დგას ამის აუცილებლობა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ძალიან კარგი ფორმაა ვიზიტორებთან საურთიერთობოდ და გვინდა რომ დავნერგოთ.



ყველა თანამედროვე ტექნოლოგია მუზეუმს ჭირდება იმისათვის, რომ უკეთესად მოემსახუროს ვიზიტორს. ვიზიტორის განსაზღვრავ ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვიზიტორი შეიძლება იყოს ადგილობრივი და თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე, აუცილებლად, უცხოელიც. ჩვენ, ჯერჯერობით, პირადად ურთიერთობების საფუძველზე ვახერხებთ იმას, რომ მუზეუმის შესახებ სხვადასხვა ტურისტულ კომპანიებს ვაწვდით ინფორმაციას, მაგრამ, რათქმუნდა, ფეხს ვიდგამთ უკან იმის გამო, რომ არ გვაქვს საშუალება მოვახდინოთ ყველაფრის თუ არა, ჩვენთან დადული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მნიშვნელოვანი ნაწილის მაინც, ექსპონირება, იმის, რაც გვაქვს, რაც ღირებულია, რაც მნიშვნელოვანია...

ამიტომ, პირველი რიგის ამოცანად, მაინც გვიდგას მუზეუმის საგამოფენო დარბაზების რეაბილიტაციის საკითხი. ასევე, თანამედროვე მუზეუმს აუცილებლად სჭირდება მუზეუმის მალაზია, პატარა კაფე, სადაც მუზეუმში მობრძანებული ვიზიტორი დაჯდება, დაისვენებს, ისაუბრეს, კვლავ გამოფენას მიუბრუნდება და ა. შ. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხებია...

პირველი „საფიხვნოს“ შეკრებაზე განხილვის საგნად ვაქციეთ მუზეუმში შემოსასვლელი ბილეთის საფასურიც. დღესდღეობით, მოსწავლეებისთვის, ეს ფასი 50 თეთრია და უფროსებისთვის - 1 ლარი. აღნიშნული საკითხი, სამწუხაროდ, სოციალურ ქსელებში, როგორც ხდება ხოლმე, ყბადალებული თემა გახდა, მაგრამ ჩვენ გამოვიტანეთ „საფიხვნოზე“ საკითხი იმიტომ, რომ ეს უნდა გადაწყდეს გონივრულად. ჩვენი აზრით, ფასის დაწესება უნდა მოხდეს შესაბამისი მომსახურების პაკეტის შეთავაზებით. ანუ, იმის მიხედვით, რას ვთავაზობთ მომხმარებელს, ჩვენს შემთხვევაში, ვიზიტორს. ჯერჯერობით, საგამოფენო სივრცის სიმწირის გამო, ვერაფერს ძალიან მნიშვნელოვანს. მაგრამ ის, რომ 50 თეთრი ძალიან მინიმალური თანხაა, ყველა ვთანხმდებით. ამ მიმართულებით, ჩვენ, ალბათ, მოგვიწევს სერიოზული სამუშაოს ჩატარება იმიტომ, რომ საჭიროა სწორად განვსაზღვროთ ვიზიტორისთვის შეთავაზებული პაკეტის ღირებულება, დამერწმუნეთ, ეს საკითხი ჩვენთვისაც ერთერთი ძალიან საჭირობო როტოა.

როდის არის დაგეგმილი შემდეგი „საფიხვნოს“ შეკრება?

„საფიხვნოს“ მომდევნო შეკრება გამოცხადდება და მეტ ჩართულობას ველოთ საზოგადოებისგან და კიდევ რა, იცით? ნურავინ ნუ დაფრთხება. ყველას გვექნება იქ სასაუბრო, სათქმელი, ყველას მოვუსმენთ, დავსხდებით, განვიხილავთ, ვიდაც რაღაცაში, ალბათ, მართალი იქნება, ვიდაცას აზრის შეცვლა მოუწევს და ა. შ. ასე იბადება ჩემპარიტი აზრი, მაგიტომაცაა საფიხვნო, რომ იქ მოხდეს განხილვა, განსხვავებული აზრების შეჯერება. გვინდა ერთად დავსხდეთ სხვადასხვა სოციუმები, სხვადასხვა ინსტიტუციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მუზეუმისთვის საჭირო როტო საკითხებზე ვიმსჯელოთ და თუნდაც, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღოთ. აი, ეს არის „საფიხვნო!“

თეა ახალკაცი





# ნორჩი სტუმრების განსხვავებული მისია

უკვე სამი წელია, რაც დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რესტავრაცია დასრულდა. დამთვალიერებლების სიმრავლით, ჯერჯერობით, ვერ დავიკვივებით, მაგრამ კეთილის მსურველი, რამდენიც გინდა!

მოდინ, ათვალიერებენ, ცოდნას იღრმავებენ, აკეთებენ სხვადასხვა სახის შემოწირულობას, მიაქვთ მადლი და მიდიან... მიდიან უდიდესი სურვილით, რომ ისევე ჩქარა მიეცეთ შესაძლებლობა უკან დაბრუნებისა...

მოგახსენეთ, ერთგული დამთვალიერებელი არასდროს აკლდა ჩვენს მუზეუმს-მეთქი, მაგრამ, თავისი ქმედებით, ხაშურის დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსეონის ბავშვებმა, წლის საუკეთესო გულშემატკივრის სტატუსი დაიმსახურეს!

ამ დღეს დიდი მზე შემოგორდა ჩვენს ეზოში!

აღნიშნული სკოლა-პანსეონის V ბ კლასის დამრიგებელი, ბუნების პედაგოგი, ქ-ნი ხათუნა გერმანაშვილი პანსეონის გახსნის დღიდან ერთგულად ემსახურება თავის საქმეს. ხშირად მსმენია საქმისადმი და ადამიანებისადმი მისი ერთგული დამოკიდებულების შესახებ. იგი, საუკეთესო პიროვნულ თვისებებთან ერთად, სამართლიანი და ენერგიული პედაგოგის სტატუსს ატარებს და არც მიკვირს, ჯეშალ გერმანაშვილისა და ლამარა ჩაჩანიძის გაზრდილი შვილის ასეთი დახასიათება.

და აი, ამ ულამაზეს დღეს, როცა მზის სხივებით გაჯერებული დედამიწის



გული მზრუნველი ადამიანის თითებს ნატრობდა, ხათუნა მასწავლებელი გაბრწყინებული სახით შემოუძღვა თავის შეგირდებს წმინდანის ეზოში; ბავშვებს დიდი რუდუნებით შემოჰქონდათ კიპაროსისა და ტუიას ნერგები..

მოგვესალმნენ და მოკრძალი ღიმილით გაგვეცნენ ჩვენი პატარა მეგობრები: ნიკოლოზ კიკნაძე, ალექსანდრე კურტანიძე, ნინო კოპაძე, გურამ ლომიძე, თომა მარდიშვილი, ანასტასია ხაჩიძე, ნიკოლოზ ხაჩიძე, ანასტასია ბარათაშვილი, ანასტასია ხაჩიძე და ლიზი მჭედლიძე.

პედაგოგის თხოვნის გათვალისწინებით, ამ პატარა მერცხლების ჭიკჭიკი მუზეუმის შესასვლელ კართან ნელ-ნელა მიწავლდა. (არ დაგვავიწყდეს, მათ ნონა ხრიკაძის სკოლაჯ აქვთ გავლილი!). ყმაწვილები ფეხაკრეფით აუყვანენ კიბეს... ჯერ სახლ-მუზეუმი დაათვალიერეს, ინტერესით უსმენდნენ მუზეუმის გიდს, ლელა ჩადუნელს... მერე აივნიდან გადახედეს ჩვენს ულამაზეს სანახებს,

ყური დაუდეს ცაცხვებს, მაგრამ ისინი აქეთ უსმენდნენ მათ და სათქმელს იმარაგებდნენ... დიდი ინტერესით დაათვალიერეს მუზეუმში განთავსებული მოძრავი გამოფენა, სადაც ხაშურის რაიონში მოღვაწე ელმირა სტეფანოვას შეგირდი ქალბატონების ნაქარგობათა ნიმუშებია განთავსებული (ქარგვა,



ოქრომკედი, ხატწერა). საკუთარი მისიის შესასრულებლად მუზეუმის შენობიდან გასულმა ყმაწვილებმა ეზოში გადაინაცვლეს. ჟივილ-ხივილით მიაშურეს იმ ადგილს, სადაც მოთმინებადაკარგული ნერგები ელოდნენ და დიდი მონდომებით შეუდგნენ საქმეს! მათი ყოველი მოძრაობა ისეთ სიყვარულს აფრქვევდა, რომ ამკარად შენიშნავდით პატრიოტი პედაგოგის ხელწერას ამ უუსუფთავეს დაფებზე! ყურს არც ის სიტყვები გამორჩენია, საუბრის დროს რომ მუდარის ხმით მიმართა ბავშვებს: -ჩემო საყვარელო ბავშვებო, იცით ყველაზე მეტად რა მინდა? თქვენც ისევე გიყვარდით თქვენი სამშობლო, როგორც დიმიტრი ყიფიანს!...

მადლობის მეტი რა გვეთქმის! დიდი მადლობა პედაგოგს, მშობლებს...დაე, ჩვენმა ბავშვებმა ისევე შეიყვარონ სამშობლო, როგორც დიმიტრი ყიფიანს უყვარდა, მაგრამ მსხვერპლად შეწირვა არასოდეს დასჭირვებოდეთ!

ხის დარგვა იმედის დარგვის ტოლფასია! მცენარეს გულიც აქვს, ენაც... მამასადამე, მათ ლოცვაც ძალუმთ!..

სინათლით იმოსება ახალი წლის დღეები !... უკეთეს სამშობლო საჩუქარს ვერც ვინატრებდით!

დაგვტოვებს ჩვენმა პატარა მეგობრებმა და დაგვიბარეს: -ჩვენ ისევე დავბრუნდებით, ბევრი მარადმწვანე მცენარე მოუხდება თქვენს ეზოსო! ეს ეზო თქვენი და თქვენსაირებისაა, ჩვენო მერცხლებო! მოხვალთ და დაგხვდებით ამეტყველებული ნერგები; მერე ერთად გავიხსენოთ ეს დღე-დღე -მრავლისმთქმელი !



კლარა გელაშვილი, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი

## ავთანდილ დვალიშვილის ხსოვნას -

# კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს


არიან ადამიანები, რომელთა მიერ ცხოვრების მანძილზე გაკვაღული ბილიკი იმდენად ღრმაა თავისი შინაარსით, რომ შემდეგ თაობებს მანათობელ ჩირადნად მიჰყვება ათეული წლების მანძილზე. ასეთი ადამიანები შემთხვევით არ ევლინებიან თავის მშობლიურ ქალაქს. ისინი ღვთის საჩუქარს უფრო ჰგვანან, რომლებიც მოძღვრის ფუნქციას ითვისებენ და თავისი განსწავლულობით კონკრეტული თაობის ღიდერები ხდებიან. სწორედ ასეთებზეა ცნობილი მეტაფორა ლექსიდან-“კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს” და სწორედ ასეთი პიროვნება იყო ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის მართლაც ბერ-მუხა-ავთანდილ დვალიშვილი, კაცი, რომელმაც მინდიასავით იცოდა მცენარეთა ენა, მოღვეულათა დონეზე ჰქონდა შესწავლილი თითოეული მცენარე და ჩვილი ბავშვივით ეფერებოდა მათ. ვაზი იყო მისი “სისუსტე”. თუმცა “სისუსტე” ზუსტად არ ასახავს მის დამოკიდებულებას ამ ღვთითკურთხეული მცენარისადმი. ეს იყო სიყვარული, დიდი და

ღრმა სიყვარული. ვისაც მის მიერ გაშენებული ზვარი ან მალღარი უნახავს, დაგვეთანხმება, რომ ეს უფრო ხელოვნების ნიმუშია, ვიდრე უბრალოდ ვაზთა ერთობლიობა. წარმოიდგინეთ, როგორი ავტორიტეტი და ცოდნა უნდა ჰქონოდა სურამელ კაცს, რომ კახეთიდან აკითხვადნენ და რჩევას იღებდნენ მევენახეები. ჩვენი სამშობლო სწორედ მსგავსი კაცების მხრებზე იდგა ყოველთვის და გუთნისდების ფუნქციას მუდამ ასეთები ითავსებდნენ.

წელიწადი გავიდა, რაც ბატონმა ავთანდილმა დატოვა ეს სამყარო. დატოვა ვალმოსდილმა, დამამშვრალმა და ქვეყნის სიყვარულში გაღეულმა. ჩვენს გაზეთს არაერთი სიუჟეტი თუ ნააზრევი აქვს მიძღვნილი მისადმი, დღეს კი, კიდევ ერთხელ ვეტყვი მას, იქ, ზეციურ საქართველოში: მადლობა, ბატონო ავთანდილ, რომ თქვენი ცხოვრებით გვანახეთ, თუ როგორ უნდა ემსახუროს კაცი ქვეყანას, თუ როგორ უნდა იყოს ღირსეული ქართველი და მამულიშვილი.

თავს ვხრით თქვენი ხსოვნის წინაშე!

რედაქციელები



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.